# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 6

20|3წ. "30" 08

ქ.თბილისი

**შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ**

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" $30^1$ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 406037550) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია | კრედიტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ოფისის მენეჯერი | მეოთხე | ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 60 |
| 2 | აუდიტორის ასისტენტი | მეოთხე | აუდიტორის ასისტენტის მეოთხე საფეხურის პროფესიული ვალიფიკაცია | 60 |

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 30 აგვისტოს №2 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
ლალი ღოღელიანი